



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/771-12

29 მაისი, 2012 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაიძე, ნათია გუჯაბიძე

სხდომის მდივანი – მდინარა დოხნაძე

აპელანტი – მ. ჯ.

წარმომადგენელი – მ. ა.

მოწინააღმდეგე მხარე – ბ. ლ.

წარმომადგენელი – თ. ნ.

დავის საგანი – თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – რუსთავის საქალაქო სასამართლოს
2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.
2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება



მ. ჯ.-ს მიერ ბ. ლ.-ს მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა:
ბ. ლ.-სთვის მ. ჯ.-ს სასარგებლოდ 140 000 აშშ დოლარის დაკისრება (ტ. II. ს.ფ. 146).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ.-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. მოსარჩელე მ. ჯ. და მოპასუხე ბ. ლ. რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1992 წლის 24 ოქტომბრიდან და ამ პერიოდის განმავლობაში მათ შეეძინათ შვილი ს. ჯ..

2.2. 2002 წლიდან მხარეთა შორის ქორწინება შეწყდა.

2.3. მხარეები 2002 წლის განქორწინების შემდეგ ფაქტობრივად აგრძელებდნენ თანაცხოვრებას, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რა დროსაც მათ შეეძინათ მეორე შვილი ლ.-მ. ჯ. დაბადებული 2004 წელს. ასეთივე ურთიერთობა გრძელდებოდა ბ. ლ.-ს საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

2.4. 2006 წელს ბ. ლ. დაბრუნდა საქართველოში.

2.5. საცხოვრებელი ბინები, მდებარე: ქ. რ.-ში, მ.-ს გამზ. №X-XX და №X-XX-ში რეგისტრირებულია ბ. ლ.-ს სახელზე.

2.6. საცხოვრებელი ბინა, მდებარე: ქ. რ. ტ.-ს №XX, 2006 წლის 15 სექტემბერს შეძენილ იქნა ბ. ლ.-ს მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე ფორმით 2008 წლის 4 სექტემბერს საცხოვრებელი ბინა გაყიდულ იქნა მ. კ.-ს მიერ შ. კ.-ზე.

2.7. მოსარჩელე მ. ჯ. ამერიკის შეერთებული შტატებიდან აგზავნიდა ფულად გზავნილებს ბ. ლ.-ს და მ. ს.-ს სახელზე.

2.8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული



გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

განსახილველ შემთხვევაში, იგივე მხარეების მონაწილეობით განხილულ იქნა მ. ჭ.-ს სარჩელი და წინამდებარე სარჩელით წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები შესწავლილი და გამოკვლეულ იქნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით, მხარეთა შეჯიბრებითობის ფარგლებში დადგენილ იქნა, რომ მხარეები 2002 წელს განქორწინების შემდეგ ფაქტობრივად აგრძელებდნენ თანაცხოვრებას, ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ პერიოდში მათ შეეძინათ მეორე შვილი ლ.-მ. ჭ.. ისინი ეწეოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას, მ. ჭ.-ს მეგობრები მას იცნობდნენ, როგორც მის მეუღლეს. ასეთივე ურთიერთობა გრძელდებოდა მათ შორის ბ. ლ.-ს საქართველოში დაბრუნების შემდეგაც მხარეთა შორის კონფლიქტის წარმოქმნამდე. მოსარჩელე ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფულად გზავნილებს აგზავნიდა ბ. ლ.-ს სახელზე ოჯახის მატერიალურად უზრუნველსაყოფად და უძრავი ქონების შეძენის მიზნით. ფულადი გზავნილები იგზავნებოდა ვინმე მ. ს.-ს სახელზეც. მის სახელზე იყო აღრიცხული მოსარჩელის მიერ დასახელებული ერთ-ერთი ავტომანქანაც, კერძოდ მიცუბისი ენდეავორ, სახელმწიფო ნომრით XXX XXX.

2.9. მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული წინამდებარე სარჩელით, რომ მის მიერ გამოგზავნილი თანხებით განხორციელდა ყველა იმ უძრავი ქონების შეძენა, რომელიც აღირიცხა ან აღრიცხული იყო ბ. ლ.-ს სახელზე, რადგან ამ გარემოების დამადასტურებლად, გარდა ბ. ლ.-ს სახელზე არსებული საბანკო ინფორმაციებისა თანხის გადმოგზავნის შესახებ, მოსარჩელეს მტკიცებულებად წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხული მ. ს.-ს სახელზე გამოგზავნილი ფულადი გზავნილების თაობაზე, ინფორმაცია მის სახელზე გამოგზავნილი ავტომანქანის შესახებ და მიუთითებს მათი გაყიდვის შედეგად ამოღებულ თანხებზე, რომელიც გადაეცა ბ. ლ.-ს.

აღნიშნულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ვერ დაეყრდნობოდა მათ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, რადგან კანონით დადგენილი წესით არ დასტურდება ამ ფულის ბ. ლ.-სათვის გადაცემის ფაქტი; არ არის დადასტურებული, ვინ მოახდინა გამოგზავნილი ავტომანქანების რეალიზაცია, გადაეცა თუ არა ამოღებული თანხა ბ. ლ.-ს, თუ მან უშუალოდ გაასხვისა ისინი, რა ფასში გაიყიდა ეს ავტომანქანები და მოხმარდა თუ არა უშუალოდ ეს თანხები საცხოვრებელი ბინების შეძენას. დაუდგენელია, რა თანხა იყო განსაზღვრული ოჯახის მატერიალურად (ყოველდღიური მოხმარებისათვის) უზრუნველსაყოფად.

2.10. ვერც წინამდებარე სარჩელით და წარდგენილი მტკიცებულებებით და ვერც წინა განხილული სარჩელით ვერ დადასტურდა ის გარემოება, რომ ბ. ლ.



ითვისებდა მ. ჯ.-ს მიერ გამოგზავნილ თანხებს, ჰყავდა მეგობარი მამაკაცი და მათი ოჯახის არსებობა მისთვის სატყუარას წარმოადგენდა.

2.11. ვერ დადასტურდა ასევე, მ. ჯ.-ს მიერ უშულოდ ამ საცხოვრებელი ბინების ნასყიდობის გარიგებებში მონაწილეობა და თუ რა ფორმით მონაწილეობდა იგი ამ გარიგებებში და თუ მონაწილეობდა, მაშინ თავად უნდა ყოფილიყო გარიგების მხარე, მას შეეძლო მინდობილობის საფუძველზე ეწარმოებინა ნებისმიერი ურთიერთობა, რაც მისი მხრიდან არ განხორციელებულა.

2.12. 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებაშიც ასახულია და არც ახლაც განსხვავებული მტკიცებულებები მასზედ წარმოდგენილი, რომ ქ. რ.-ში ტ.-ს ქ. №XX-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებები ბ. ლ.-ს, მ. კ.-სა და შ. კ.-ს შორის ატარებს მოჩვენებით ხასიათს. მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები მასზედ, რომ მ. კ.-სთვის ან შ. კ.-სთვის ცნობილი იყო რომ გამყიდველი ბ. ლ. და შემდეგ, - მ. კ., არ იყვნენ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრენი. დაუსაბუთებელია მოსარჩელის აპელირება ბ. ლ.-სა და ვინმე ბ. ჯ.-ს, მ. კ.-სა და შ. კ.-ს მეგობრობის შესახებ.

2.13. 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხე ბ. ლ.-მ მიიღო მოსარჩელისგან ფულადი გზავნილები 2006 წლიდან 2008 წლის მაისის ჩათვლით, თვეში 5000 აშშ დოლარის ფარგლებში, თუმცა, აღნიშნული ხმარდებოდა მათ საერთო საოჯახო მეურნეობას და შვილების აღზრდა-განვითარებას.

2.14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ის მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.



დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

2.15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა. თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს და „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები.

სასამართლოს განმარტებით, ქონების უსაფუძვლოდ შეძენა ნიშნავს შემძენის ქონების გაზრდას სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე. უმეტესად, ქონების ასეთ გაზრდას ადგილი აქვს ბათილი გარიგების შესრულების, ვალდებულების ხელმოწერის შესრულების შემთხვევაში, ქონების დაზოგვას კი ადგილი აქვს მაშინ, როცა იმ პირის ქონება, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ვალი, შეცდომით ან სხვა მიზეზით სხვამ გადაიხადა, ანუ თუ პირმა ვალდებულების შესასრულებლად სხვას გადასცა რაიმე ქონება, შესაძლებელია მისი უკან გამოთხოვა, თუ ვალდებულება ფაქტობრივად არ არსებობს, ეს დასაშვებია მაშინ, როცა გარიგება გაბათილებულია და არარსებულად ითვლება ან არსებობდა, მაგრამ შემდგომში შეწყდა. ამდენად, სამოქალაქო კანონმდებლობა ვითომ-კრედიტორის მხრიდან ქონების დაბრუნების ვალდებულებას უკავშირებს ვითომ სახელშეკრულებო ურთიერთობების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ვერ გავრცელდება მეუღლეთა შორის ან სხვა საოჯახო სადავო ქონებრივ ურთიერთობებზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, მ. ჯ. და ბ. ლ. განქორწინების შემდეგაც ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად, ეწეოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სასამართლოს მიერ ვერ იქნა დადგენილი ბ. ლ.-ს მიერ დასახელებული ოდენობით თანხის მიღება და ამ თანხებით უძრავი ქონების შეძენა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ის ქონება, რასაც მ. ჯ. აგზავნიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მისი განზრახვით, ოჯახის კეთილდღეობას



უნდა მოხმარებოდა; მან იცოდა, რომ განქორწინებული იყო ბ. ლ.-სთან, მაგრამ მაინც იძლეოდა თანხმობას იმაზე, რომ ქონების შეძენა ბ. ლ.-ს განუხორციელებინა და მის სახელზევე აღრიცხულიყო საკუთრების უფლებით, ანუ მ. ჯ. ამ ქმედებებს ახორციელებდა ზნეობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, იგი უზრუნველყოფდა მის ოჯახს, შვილებს და მათ შორის მომავალში საკუთარ კეთილდღეობას. მსგავსი კატეგორიის ურთიერთობები ვერ იქნება განხილული, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობები, ვითომ ვალდებულების შესრულება და ამ შესრულების მიღება ვითომ კრედიტორის მიერ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს და „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჯ.-ს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით, არ ეძლევა იმის სამართლებრივი საფუძვლები, რომ მოითხოვოს მის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი თანხების უკან დაბრუნება, რადგან დადგენილია, რომ აღნიშნული თანხების გამოგზავნით ასრულებდა მის ზნეობრივ მოვალეობებს და მას სურდა რომ აღნიშნული თანხა მოეხმარა ბ. ლ.-ს და მის არასრულწლოვან შვილებს, ამასთან, ბ. ლ.-ს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელმა შეგნებულად გადასცა აღნიშნული თანხები და ანგარიში არ გაუწევია იმისათვის, არსებობდა თუ არა ის საფუძვლები, რომლებიც მას გადაცემული თანხის უკან გამოთხოვის შესაძლებლობას მისცემდა.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჯ.-მ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცლით ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება. სააპელაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. აპელანტის მითითებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სამართლებრივი დასაბუთება ფაქტიურად არ გააჩნია. სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 28.04.2009 წლის გადაწყვეტილების გამეორებით, არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ მითითებულ მტკიცებულებებზე და გადაწყვეტილება დაამყარა ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებზე.

3.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ, მართალია, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მოპასუხის სახელზე ფულად გზავნილებს აგზავნიდა ოჯახის მატერიალურად უზრუნველსაყოფად და უძრავი ქონების შეძენის მიზნით,



თუმცა, არც კი უმსჯელია შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: ა) თუ ოჯახი არსებობდა, მაშინ მ. ჯ.-ც ხომ არ შედიოდა ოჯახში და მისი უზრუნველყოფაც ხომ არ უნდა მომხდარიყო ამ თანხებით; ბ) მ. ჯ. კი მიიჩნევდა რომ ოჯახი ჰყავდა, მაგრამ როგორი იყო მოპასუხის რეალური დამოკიდებულება; გ) ვისთან დარჩა მოსარჩელის მიერ გამოგზავნილი თანხებით შეძენილი ქონება; 140 000 აშშ დოლარიდან რამდენი მოხმარდა „ოჯახის“ მატერიალურ უზრუნველყოფას და რამდენი უძრავი ქონების შეძენას; დ) რაში დახარჯა მოპასუხემ აღნიშნული საკმაოდ სოლიდური კაპიტალი და რა „სამომავლო კეთილდღეობა“ მიიღო მ. ჯ.-მ შედეგად.

3.3. აპელანტის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადგილი ჰქონდა საპროცესო ნორმების არსებით დარღვევას, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად და არასრულად შეფასება და ამის შედეგად, - არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის საფუძველზე, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს მ. ი.-ს სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, შემდეგ გარემოებათა გამო:

ფაქტობრივი დასაბუთება

4.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. ჯ.-ს სარჩელი მოპასუხეების: ბ. ლ.-ს, მ. კ.-სა და შ. კ.-ს მიმართ, ქონების შემძენად აღიარების, ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, ქონების გადაცემისა და მესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა (ტ. I. ს.ფ. 16-23).



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ამ მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ასეთ ფაქტებში მოიაზრება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება გამოტანილია წინამდებარე დავის მონაწილე მხარეებს შორის და შესულია კანონიერ ძალაში, პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები წინამდებარე დავის განხილვისას არ საჭიროებს დამატებით მტკიცებას. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ უდავოდ დადასტურებული მტკიცებულების ძალა უნდა მიენიჭოს ხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ა) მოსარჩელე მ. ჯ. და მოპასუხე ბ. ლ. რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1992 წლის 24 ოქტომბრიდან და ამ პერიოდის განმავლობაში მათ შეეძინათ შვილი - ს. ჯ.;

ბ) 2002 წლიდან მხარეთა შორის ქორწინება შეწყდა;

გ) მხარეები 2002 წლის განქორწინების შემდეგ ფაქტობრივად აგრძელებდნენ თანაცხოვრებას, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რა დროსაც მათ შეეძინათ მეორე შვილი - ლ.-მ. ჯ., დაბადებული 2004 წელს. ასეთივე ურთიერთობა გრძელდებოდა ბ. ლ.-ს საქართველოში დაბრუნების შემდეგ;

დ) ბ. ლ. საქართველოში დაბრუნდა 2006 წელს;

ე) მოსარჩელე ამერიკის შეერთებული შტატებიდან აგზავნიდა ფულად გზავნილებს ბ. ლ.-ს და მ. ს.-ს სახელზე;

ვ) 2006 წლიდან 2008 წლის მაისის ჩათვლით, მოპასუხე ბ. ლ.-მ მოსარჩელისგან მიიღო ფულადი გზავნილები, თვეში 5000 აშშ დოლარის ფარგლებში, რომელიც ხმარდებოდა მათ საერთო საოჯახო მეურნეობას და შვილების აღზრდა-განვითარებას.

4.2. საცხოვრებელი ბინები, მდებარე: ქ. რ.-ში, მ.-ს გამზ. №X-XX და №X-XX-ში რეგისტრირებულია ბ. ლ.-ს სახელზე შესაბამისად, 05.08.2008 და 10.07.2008 წლიდან.



4.3. საცხოვრებელი ბინა, მდებარე: ქ. რ. ტ.-ს №XX, 2006 წლის 15 სექტემბერს შეძენილ იქნა ბ. ლ.-ს მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე ფორმით 2008 წლის 4 სექტემბერს საცხოვრებელი ბინა გაყიდულ იქნა მ. კ.-ს მიერ შ. კ.-ზე.

სამართლებრივი დასაბუთება

4.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს მისი უკან დაბრუნება, თუ:

ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ერთი პირის გამდიდრება მოხდეს მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს იურიდიულ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში იშლება. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი - თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალრთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ობიექტური შედეგი - ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება კიდევაც უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი - მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია - ვითომ



კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია და აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტიურად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის ქორწინება შეწყდა 2002 წელს. ამდენად, მ. ჯ. ასრულებდა არარსებულ ვალდებულებას, ვინაიდან ქორწინების შეწყვეტის შემდეგ წყდება მეუღლეთა შორის არსებული უფლებები და მოვალეობები. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის თანხის გადარიცხვის ფაქტი, ვალდებულებითსამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში და შესაბამისად, მიღებული შესრულება ექვემდებარება დაბრუნებას. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლიც გამორიცხავს უკან დაბრუნების მოთხოვნას, კერძოდ, აღნიშნული ნორმის შესაბამისად, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ: ა) შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შეფასება, კერძოდ: განქორწინების შემდგომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობებისა და შესრულების მიმართ მხარეთა დამოკიდებულების ანალიზი.

დადგენილია, რომ განქორწინების შემდეგ მხარეები ფაქტობრივად აგრძელებდნენ თანაცხოვრებას, რა დროსაც მათ შეეძინათ მეორე შვილი - ლ.-მ. ჯ., დაბადებული 2004 წელს. ასეთივე ურთიერთობა გრძელდებოდა ბ. ლ.-ს საქართველოში დაბრუნების შემდეგ; ბ. ლ. საქართველოში დაბრუნდა 2006 წელს. დადგენილია, რომ მოსარჩელე ამერიკის შეერთებული შტატებიდან 2006 წლიდან 2008 წლის მაისის ჩათვლით ყოველთვიურად აგზავნიდა 5000 აშშ დოლარს, სულ მოსარჩელემ 140 000 აშშ დოლარი გამოაგზავნა ბ. ლ.-ს სახელზე. პალატა მიიჩნევს, რომ მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეთა შორის არსებობდა საქორწინო ურთიერთობა. აღნიშნული ურთიერთობის ამგვარად შეფასებისას სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვით: ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე.” საქმეზე - კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands), ევროპულმა სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე“. ცხადია, აქ იგულისხმება ერთად ცხოვრება



ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში.

ამდენად, ოჯახური ურთიერთობის ცნების განმარტებისას სააპელაციო პალატა ეყრდნობა ევროპული სასამართლოს სტანდარტს და ასკვნის, რომ მხარეები რჩებოდნენ ცოლქმრულ ურთიერთობაში და ეწოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას. შესაბამისად, მოსარჩელე, ბ. ლ.-ს მიმართ განხორციელებული შესრულებით, მატერიალურად უზრუნველყოფდა მის ოჯახს. ამდენად, მოსარჩელის ნება მიმართული იყო საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისაკენ და ემსახურებოდა ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნებს.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, მოსარჩელის მოქმედება ზნეობრივი მოვალეობის შესრულებას წარმოადგენდა. თუმცა, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ზღვარი უნდა გაივლოს ზნეობრივი მოვალეობის ფარგლებში მიღებულ შესრულებასა და ვალდებულებითსამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულ შესრულებას შორის.

ოჯახი თავის თავში მოიაზრებს თითოეულ წევრს. ამდენად, მოსარჩელე ზრუნავდა არა მხოლოდ ბ. ლ.-სა და შვილების კეთილდღეობისათვის და უზრუნველყოფდა მათ მომავალს, არამედ ზრუნავდა საკუთარი თავის კეთილდღეობისათვისაც. დადგენილი გარემოებების მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს, როგორც ოჯახის ერთ-ერთ წევრს, ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად გამოგზავნილი 140 000 აშშ დოლარიდან უნდა დაუბრუნდეს გარკვეული ნაწილი, კერძოდ, ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, გადაცემული ქონების $\frac{1}{4}$ ნაწილი, რაც შეადგენს 35 000 აშშ დოლარს, როგორც ვალდებულებითსამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული შესრულება, რაც შეეხება გამოგზავნილი თანხის დანარჩენ $\frac{3}{4}$ ნაწილს, პალატის შეფასებით, მითითებული ოდენობით შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს და არ არსებობს მისი უკან დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ჯ.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.

6. საპროცესო ხარჯები



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე გადაწყვეტილებით მ. ჯ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბ. ლ.-ს მ. ჯ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. შესაბამისად, ბ. ლ.-ს უნდა დაეკისროს მ. ჯ.-ს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში გადახდილი ბაჟის ანაზღაურება დაკმაყოფილებული მოთხოვნების პროპორციულად, კერძოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მისთვის 35 000 აშშ დოლარის 7%-ის - 2450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით, სარჩელისათვის უნდა იქნეს გადახდილი ბაჟი დავის საგნის ღირებულების 3%-ის ოდენობით, ხოლო სააპელაციო საჩივრისათვის - 4%-ის ოდენობით).

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მ. ჯ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ჯ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბ. ლ.-ს მ. ჯ.-ს სასარგებლოდ დაეკისროს 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
5. ბ. ლ.-ს მ. ჯ.-ს სასარგებლოდ დაეკისროს 2450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების



ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;

7. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე:

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები:

ნატალია ნაზღაიძე

ნათია გუჯაბიძე



გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ა ზ რ ი

გამოვხატავ რა ღრმა პატივისცემას კოლეგების მიმართ, ასევე მათ მიერ №28/771-12 სამოქალაქო საქმეზე მ. ჭ.-ს სააპელაციო საჩივრის გამო ბ. ლ.-ს მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, აღნიშნულ საქმეზე გამაჩნია განსხვავებული მოსაზრება, რაც განპირობებულია დასახელებულ საქმეში სადავოდ გამხდარი საკითხის სამართლებრივი შეფასებით.

მიმაჩნია, რომ მ. ჭ.-ს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით, მხარეთა შეჯიბრებითობის ფარგლებში დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხე ბ. ლ. მოსარჩელე მ. ჭ.-საგან 2006 წლიდან 2008 წლის მაისის ჩათვლით, თვეში 5000 აშშ დოლარის ფარგლებში, ფულად გზავნილებს იღებდა, რაც მათ საერთო საოჯახო მეურნეობასა და შვილების აღზრდა-განვითარებას ხმარდებოდა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სადავოდ არ გამხდარა წარმოდგენილ სამოქალაქო საქმეში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ: ა. შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ან ბ. გავიდა ხანდაზმულობის ვადა, ან გ. მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები, ანდა დ. მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალდებულებების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.

მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბ. ლ.-სათვის მ. ჭ.-ს მიერ გამოგზავნილი ფულად გზავნილების დაბრუნების ვალდებულების



დაკისრება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს წარმოადგენს შემსრულებლის ზნეობრივ მოვალეობასთან და მიმღების სუბიექტურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული კანონის მითითებული დანაწესის როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური, სისტემური და შინაარსობრივი ანალიზი.

აღნიშნული მსჯელობის ნათელყოფის მიზნებისათვის ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ზნეობრივი მოვალეობა კანონისმიერი მოვალეობისაგან. კანონისმიერი მოვალეობა ყოველთვის ზნეობრივია, ხოლო ზნეობრივი მოვალეობა შეიძლება სცილდებოდეს კანონით დადგენილი მოვალეობის ფარგლებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება.

ამდენად, მშობლის პირდაპირი კანონისმიერი ვალდებულებაა შვილების რჩენა, ხოლო მამის მიერ არასრულწლოვანი შვილების დედისათვის გადაცემული თანხიდან რა ოდენობა შეიძლება ჩაითვალოს შვილების რჩენისათვის საკმარისად და რა სამართლებრივი საფუძველის გარეშე მიღებულად, რიგ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. კერძოდ, აღნიშნულთან დაკავშირებით ნიშანდობლივია მშობლის დამოკიდებულება ბავშვის რჩენის ვალდებულების მიმართ. ზოგიერთი მშობლისათვის შვილების რჩენის ვალდებულება ბავშვების საკვებითა და აუცილებელი ჩასაცმელით უზრუნველყოფას გულისხმობს, ზოგიერთი მშობლისათვის ბავშვის რჩენის ვალდებულება მოიცავს ბავშვის როგორც საკვებით, ჩასაცმელითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ასევე ყველა იმ პირობის შექმნას, რაც ბავშვის ნორმალური რჩენა - აღზრდისა და გონებრივი განვითარებისათვის არის საჭირო. მშობლის მიერ თავისი ვალდებულების ამგვარად აღქმა შეესაბამება კანონის დანაწესს მშობლის ვალდებულების დეფინიციასთან დაკავშირებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ



აღნიშნული ვალდებულების შესრულება მშობლის მიერ მხოლოდ პირადი მიხედვლების შესაბამისად არ ხდება, არამედ დიდწილად, გარდა მითითებული ვალდებულების სუბიექტური შეფასებისა, დამოკიდებულია ასევე ისეთ ობიექტურ ფაქტორზე, როგორიცაა მშობლის ფინანსური შესაძლებლობა. შესაბამისად, მამის მიერ არასრულწლოვანი შვილების დედისათვის გადაცემული თანხის მხოლოდ ნაწილის მიჩნევა ზნეობრივ ვალდებულებად არ გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან, მითუმეტეს, რომ აღნიშნული მუხლის შესაბამისად, დაბრუნებას არ ექვემდებარება არა კანონისმიერი, არამედ ზნეობრივი მოვალეობის შესაბამისი შესრულება. ამდენად, მ. ჭ.-ს მიერ თავისი არასრულწლოვანი შვილების დედისათვის გამოგზავნილი თანხა, რაც ყოველთვიურად, საშუალოდ, 5 000 აშშ დოლარს შეადგენდა, შეიძლება, სცილდება ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის პირობებში ორი არასრულწლოვანი შვილის სარჩენად საკმარისი თანხის გონივრულ ოდენობას, თუმცა, შეესაბამება მშობლის ზნეობრივ მოვალეობას, არსებული ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოს შვილების რჩენა და შეუქმნას მათ სამომავლო ეკონომიკური კეთილდღეობა. იმ შემთხვევაში, თუ შესრულება, რომელიც თავისი არსითა და დანიშნულებით, ზნეობრივად კვალიფიცირდება მიზნიდან გამომდინარე - უზრუნველყოფილ იქნას შვილების კეთილდღეობა - არ იქნა გამოყენებული დანიშნულებისამებრ, აღნიშნული შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი შვილების მიერ დედის მიმართ მოთხოვნის წარდგენის საფუძველი, რომელმაც, არ უზრუნველყო მამის მიერ გამოგზავნილი ფინანსური რესურსის შესაბამისი კეთილდღეობა შვილებისათვის.

შესრულების უკუმოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსრულებლისა და მიმღების სამართლებრივ ურთიერთმიმართებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, შეფასება იმისა, შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, თუ შესრულება მომდინარეობს ზნეობრივი მოვალეობიდან, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლება-მოვალეობრივი კავშირი არსებობს შემსრულებელსა და მიმღებს შორის, რა სუბიექტური



დამოკიდებულება ჰქონდა შემსრულებელსა და მიმღებს შესრულების მიმართ. აღნიშნული გამიჯვნადია განსაკუთრებით მჭიდრო ნათესაური და მეგობრული ურთიერთკავშირების დროს, ასევე მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული კანონისმიერი ვალდებულებები. თუ შემსრულებელი შესრულების დროს ზნეობრივ საწყისებზე დაყრდნობით იმთავითვე გამორიცხავს მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობას, სადავოობის შემთხვევაში, მისი უკან დაბრუნება გამორიცხულია. შესრულების უკან დაბრუნების დაუშვებლობის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ თუ შესრულების ავტორმა იცოდა შესრულების დროს მისი ვალდებულების არარსებობა, აღნიშნული თავისთავად გამორიცხავს უკუმოთხოვნის უფლებას¹. აღსანიშნავია, რომ მიმღებს ამგვარი შესრულების მიმართ „თავისად დაგულვებულის“ პრეტენზია უჩნდება. მაგალითისათვის, ერთი პირის მიერ მეორე მისთვის უცნობი პირის მიმართ შესრულების განხორციელების დროს იგულისხმება, რომ არსებობს ვალდებულება და შესრულება განხორციელდა ვალდებულების შესაბამისად. შესრულება, რომ ვალდებულების გარეშე განხორციელდა, აღნიშნული მიმღებმა უნდა ადასტუროს. რაც შეეხება ისეთ შესრულებას, რომელიც, ჯანსაღი, გონივრული ურთიერთობის ფარგლებში, მორალურად გამართლებული და ზნეობრივია, არ წარმოშობს ვალდებულების არსებობის პრეზუმფციას, შესაბამისად, ვალდებულების არსებობის მტკიცების ტვირთი შემსრულებელზეა. აღნიშნული სამართლებრივი წესრიგი ასახულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში, სადაც მითითებულია, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა.

პრეზუმფცია, ე.წ. დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. პრეზუმფციების ძირითადი წინაპირობაა ცხოვრებისეული პროცესების განმეორებადობა და მათი ურთიერთკავშირი. თუმცა, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კავშირის არსებობა საკმარისი არ არის და აუცილებელია, რომ კავშირი ლოგიკური, გონივრული, მდგრადი და აუცილებლობით განპირობებული იყოს.

¹ Musielak H.J. “Grundkurs BGB”, Verlag C.H. Beck, Muenchen, 2002, S.345



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ თეორიაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, პრეზუმფციებში ასახულია რეალობასთან გათანაბრებული ლოგიკური ჭეშმარიტება. ამიტომ, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი მატერიალური სამართალი სწორედ პრეზუმფციებს ემყარება და სამართალურთიერთობებიც სწორედ რეალობასთან გათანაბრებული ლოგიკური ჭეშმარიტების პრინციპით არის მოწესრიგებული. განსახილველი შემთხვევაც სწორედ მითითებული გონივრული ჭეშმარიტების კატეგორიას განეკუთვნება. მამის მიერ არასრულწლოვანი შვილების დედისათვის განხორციელებული შესრულება ზნეობრივი კატეგორიაა, მისი მიმღები ვარაუდობდა, რომ შემსრულებელს სურდა მისი განხორციელება, შესაბამისად, შესრულება უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. აღნიშნული ცხოვრებისეული ჭეშმარიტებისაგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს. მან უნდა ადასტუროს, რომ გამოგზავნილი თანხის ნაწილით იგი, როგორც ფაქტობრივი ოჯახის წევრი, საკუთარი კეთილდღეობის შექმნას ცდილობდა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს ამგვარი მტკიცება არ განუხორციელებია.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობა ეფუძნება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს, შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება თავის თავში მოიცავს სამართალსუბიექტის მიერ ნების გამოვლენისას წინდახედულობის ელემენტარული სტანდარტის გათვალისწინებას, რათა მის მიერ წინდაუხედავად გამოვლენილი ნებით დაუშვებლად არ იქნეს ხელყოფილი სხვათა უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, მ. ჯ.-ს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი შვილების ადგილსამყოფელის მხედველობაში მიღებით, ბ. ლ.-სათვის განხორციელებული შესრულება მიიჩნეოდა, მისი, როგორც, არასრულწლოვანი შვილების მამის მიერ, მასზე დაკისრებული კანონისმიერი და ზნეობრივი მოვალეობის შესრულება, შესაბამისად, მიმღების მხრიდან მიღებულ შესრულებაზე განხორციელდებოდა სრული ბატონობა, რაც თავის თავში, აღნიშნული საშუალებების განკარგვას გულისხმობს. ამდენად, თუ



მას სურდა განხორციელებული შესრულებიდან თავის სასარგებლოდ რაიმის დაზოგვა, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გამოევლინა ნება, შეექმნა სამართლებრივი გარანტია და ა. შ. სხვა შემთხვევაში, ზნეობრივი მოვალეობის შესაბამისი შესრულების უკუმოთხოვნით იგი მძიმე მდგომარეობაში აგდებს არასრულწლოვან შვილებსა და მათ კანონიერ წარმომადგენელს - დედას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მ. ჭ.-ს მიერ დარღვეულია სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობის ელემენტარული სტანდარტი, ასეთ პირობებში, კი თუნდაც, სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ეწინააღმდეგება კანონის დანაწესს, ზნეობრივი შესრულების უკან დაბრუნების დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

მოსამართლე

ქეთევან მესხიშვილი